აგრონომიის დამატებითი პროგრამა

I. ფაკულტეტის დასახელება: ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

II. **პროგრამის დასახელება:** აგრონომია

III. **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

IV. **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური (minor), (პროგრამა გათვალისწინებულია სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის)

V. **სწავლების ენა:** ქართული

VI. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** აკადემიური ხარისხი არ ენიჭება.

VII. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 60 ECTS

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი) - 60 კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 15კვირას. ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას.

VIII. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** დამატებითი სპეციალობის არჩევა ხდება II კურსის I სემესტრის დასაწყისში. სტუდენტი უნდა სწავლობდეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

IX. **პროგრამის ხელმძღვანელები:** სოფლის მეურნეობის დოქტორი ზ. ტყებუჩავა, ბიოლოგიის დოქტორი ნანა ზუბაშვილი

X. **პროგრამის მიზანია** ბაკალავრებს მისცეს მეორე, დამატებითი (მინორ) სპეციალობა აგრარულ დარგში, რომელიც იქნება ორიენტირებული, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ საქმიანობაზე, აგრონომიული სიტუაციის აღწერის და აგრონომიული მდგომარეობის შეფასების და შესაბამისი პრევენციული ზომების გატარების უნარ-ჩვევებზე. სწრაფად ცვალებად შრომის ბაზარზე ადაპტაციის საშუალებებზე;

XI. სწავლის შედეგი:

- გარემოზე დამზოგი ზემოქმედებით არაორგანული და ორგანული სასუქების გამოყენების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება კლიმატური ფაქტორების გათვალისწინებით.
- ნიადაგის თავისებურებების გათვალისწინებით თანამედროვე აგროტექნოლოგიების, მცენარეთა დაცვის მეთოდების გამოყენებით კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- სათესლე და სარგავი მასალების გამოყვანა, თესვა-რგვის და მოვლითი სამუშაოების შესაბამისი თანამედროვე აგროტექნოლოგიის შერჩევა და განხორციელება.

XII. დასაქმების სფერო:

- ფერმერული მეურნეობების საკონსულტაციო სამსახური,
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები,
- ბიზნესცენტრები,
- სოფლის-მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი არასამთავრობო ორგანიზაციები.
- სოფლის სახლები